



აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში:  
კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა

კვლევა დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებით, შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის.

შესაძლებელია კვლევაში გამოხატული შეხედულებები არ ემთხვეოდეს ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი

## კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

### კვლევა ალკვეთის ღონისძიების კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მოამზადა კვლევა ალკვეთის ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირებასა და პრაქტიკაში გამოყენების პრობლემებზე. კვლევაში ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზის გარდა ასევე წარმოდგენილია პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები. გამომდინარე იქედან, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად სასარგებლო დოკუმენტის შექმნა, მასში ასევე გაერთიანდა ძირითადი რეკომენდაციები.

ეროვნული კანონმდებლობის კვლევისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ საკანონმდებლო სივრცე ძირითადად შეესაბამება ადამიანის უფლებების მოთხოვნებს და ძირეულ საკითხებთან მიმართებით, ერთეული გამონაკლისის გარდა, არსებით გადასინჯვას არ საჭიროებს. თუმცა, სრულიად საპირისპიროა მდგომარეობა ალკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით კვლევამ აჩვენა, რომ კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისობა ფორმალურია, ვინაიდან მისი პრაქტიკაში განხორციელება არ ხდება და მას რეალური გავლენა არ აქვს პირის უფლებრივი მდგომარეობის დაცვაზე. კვლევაში აისახა, რომ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევები დაუსაბუთებლობით, შაბლონურობით და არაერთგვაროვანი მიდგომებით საფრთხეს უქმნის ალკვეთის ღონისძიების მექანიზმის კანონიერ და სამართლიან გამოყენებას.

#### - საკანონმდებლო სივრცე

კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს, რომ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები ამომწურავია და მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი ალკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენება მოსამართლის მიერ. ეს საფუძვლებია, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ:

- ბრალდებული მიიძალბება;
- არ გამოცხადდება სასამართლოში;
- გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს;
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამ სახით საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალის არსებობა კანონმდებლობის დადებითი მხარეა, რაც ერთმნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც პროკურორს შუამდგომლობის შერჩევას, ისე მოსამართლეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. საბოლოო ჯამში კი ქმნის გარანტიას პირის თავისუფლების დასაცავად კანონის არაგონივრულად ფართო ინტერპრეტაციებისგან.

კიდევ ერთ გარანტიას წარმოადგენს ალკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობის მოთხოვნა კანონმდებლის მხრიდან, რაც გამოხატულია ალკვეთის ღონისძიების ალტერნატიული სახეების განსაზღვრაში. რაც შეეხება ალკვეთის ღონისძიების ყველაზე მძიმე ფორმას - პატიმრობას, კანონმდებლობა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერს

შეიცავს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია.<sup>1</sup> ზოგადად, კანონმდებლობა ავალდებულებს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ.<sup>2</sup>

თავისუფლების სასარგებლოდ არსებული პრეზუმფციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია როგორც კანონმდებლობაში მსგავსი გარანტიების არსებობა, ისე ამ გარანტიების რეალური მოქმედება კონკრეტულ საქმეებში, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების ნაწილში ძირითადად შეესაბამება ადამიანის უფლებების მოთხოვნებსა და სტანდარტებს. თუმცა, ამ მომენტისთვის, კანონმდებლობაში კვლავ რჩება ერთი პრობლემური ჩანაწერი, რომელიც წინააღმდეგობრივია გასაჩივრების უფლების კონტექსტში. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა პირს შესაძლებლობას აძლევს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და უთითებს, რომ მან საჩივარს უნდა დაურთოს მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი იმ ახალ გარემოებათა შესახებ, რომელიც უცნობი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის. აღნიშნული ნორმა სასამართლოს აძლევს საშუალებას დაუშვებლად ცნოს ის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მხარე ახალგამოვლენილ გარემოებებს არ წარუდგენს მოსამართლეს, მიუხედავად იმისა დაობს თუ არა მხარე სამართლებრივ და არა ფაქტობრივ გარემოებებზე. კანონმდებლობაში მსგავსი ბარიერების არსებობა გაუმართლებლად ზღუდავს უფლებას გასაჩივრებაზე და მას ფორმალურ პროცესუალურ მექანიზმად აქცევს.

#### - პრაქტიკა

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2011 წელს აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების 13 309 შემთხვევიდან პატიმრობა შეფარდებული იქნა 6558 შემთხვევაში (49.3%), 2010 წელს კი 14 959 შემთხვევიდან – 8109 შემთხვევაში (54.2%). დანარჩენ შემთხვევებში გამოყენებული იყო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები, მათ შორის, 2011 წელს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეფარდებულ იქნა 6726 შემთხვევაში (50.5%), 2010 წელს კი – 6757 შემთხვევაში (45.2%).<sup>3</sup>

კვლევაზე მომუშავე ჯგუფმა აღკვეთის ღონისძიების პრაქტიკის შესასწავლად გააანალიზა სასამართლოს მიერ მიღებული 50 განჩინება.<sup>4</sup> განჩინებების კვლევამ აჩვენა, რომ კანონმდებლობისგან განსხვავებით აღკვეთის ღონისძიების პრაქტიკა წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებების სტანდარტებთან.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 2010წ.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 2010წ.

<sup>3</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/7-arkv11.pdf>

<sup>4</sup> აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებები შესწავლილია 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან.

ზოგადი სურათის აღწერისთვის მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ჯგუფის მიერ შესწავლილ არც ერთ განჩინებაში ადგილი არ ჰქონია ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ისევე როგორც პროკურორის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობას. ასევე, გამოყენებული არ ყოფილა პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა ტიპის ალკვეთის ღონისძიება. რაც შეეხება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გამოვლენილ პრობლემებს, ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- სასამართლოს განჩინებების შაბლონური ხასიათი;
- დაუსაბუთებლობა;
- მსგავს გარემოებებში სხვადასხვა ალკვეთის ღონისძიების გამოყენება;
- ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის ნაკლებობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სასამართლოს განჩინებაში ფიქსირდება იდენტური ფრაზების გამოყენება, მაგალითად, მცხეთისა და ხელვაჩაურის რაიონული და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები განჩინებებში იდენტურად უთითებენ: „იგი [გირაოს სახით შეფარდებული თანხა] წარმოადგენს ბრალდებულის შემდგომი ნორმალური ქცევის გარანტს და დამაფიქრებელს მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის.“

კვლევამ ცხადყო, რომ განჩინებების მთავარ პრობლემას წარმოადგენს ფაქტების სიმწირე და საფრთხეებზე ზოგადი მითითება, ყოველგვარი დასაბუთების და კონკრეტულ საქმესთან რელევანტურობის მტკიცების გარეშე. გამოიკვეთა, ასევე ის ფაქტი, რომ სასამართლოები მსჯელობას არ იწყებენ ზოგადად ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობით, ნაცვლად ამისა, განჩინებები იწყება კონკრეტული ალკვეთის ღონისძიების გამოყენების განხილვით, რაც ეწინააღმდეგება კანონის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც ალკვეთის ღონისძიების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მკაცრად გაწერილ შემთხვევებში.

გამოიკვეთა, რომ სასამართლოებს არ აქვთ ერთგავროვანი მიდგომა/ტესტი, რომლის გამოყენებაც ერთნაირად ხდება საკითხზე მსჯელობისას. რამდენიმე ბრალდებულის მიმართ განსხვავებული ალკვეთის ღონისძიების გამოყენება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ქმნის განცდას, რომ სასამართლოს მიდგომა არათანმიმდევრულია. განხილული განჩინებებიდან არაერთ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგებაზე, ზიანის ანაზღაურებაზე, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობაზე, რითიც სასამართლო გამორიცხავდა პირის მიმალვის საფრთხეს, თუმცა ამგვარი მსჯელობის დასასრულს სასამართლო ა/ლ სახედ მაინც გამოიყენა გირაომ, რაც გაუგებარია.

განჩინებების საერთო პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სასამართლოები არ მსჯელობენ ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე, რაც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა. გამოიკვეთა, რომ სასამართლოებს ამ საკითხის მიმართ ფორმალური მიდგომა გააჩნიათ, რაც გამოიხატება იმაში, რომ განჩინებებში მოსამართლეები მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებიან და უთითებენ, რომ სხვა ალკვეთის ღონისძიების სახის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

- *სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები შაბლონური ხასიათისაა და ვერ პასუხობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნას:*

სასამართლომ უნდა შეაფასოს ინდივიდუალური მოცემულობები და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის: ბრალდებულის ხასიათის თვისებები, ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ყველა სხვა რელევანტური ფაქტორი, რასაც შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს ა/დ შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

- *ა/დ შეფარდებისას სასამართლოს მიერ გამოყენებული მტკიცების სტანდარტი დაბალია, რაც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ბრალდების მხარეს:*

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს აქვს ვალდებულება ა/დ გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა – როგორც უკიდურესი ღონისძიება, მან კანონით დადგენილი სტანდარტის ზედმიწევნით დაცვით უნდა განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა და მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში დააკმაყოფილოს პროკურორის მოთხოვნა.

- *სასამართლოები მსჯელობას არ იწყებენ ზოგადად ა/დ გამოყენების მიზანშეწონილობით:*

სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უპირველესად უნდა პასუხობდეს კითხვას, რატომ არის საჭირო ზოგადად ა/დ გამოყენება კონკრეტულ საქმეში. მხოლოდ აღნიშნულის დასაბუთების შემდგომ უნდა გადავიდეს სასამართლო ა/დ კონკრეტული სახის შერჩევაზე.

- *სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში თანაბარი ყურადღება არ ეთმობა დაცვისა და ბრალდების არგუმენტებს:*

მხარეთა თანასწორობისა და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების თანაბარი იურიდიული ძალის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ თანაბარი ყურადღება უნდა გაამახვილოს დაცვისა და ბრალდების პოზიციებსა და არგუმენტებზე. ამასთან, განჩინებაში ადეკვატურად უნდა იქნეს ასახული დაცვის მხარის მოსაზრებები.

- *სასამართლო არ აქვს ერთიანი მიდგომა, რაც ორმაგი სტანდარტის დამკვიდრების საშიშროებას ქმნის:*

სასამართლომ უნდა შეიმუშავოს ერთიანი მიდგომა აღკვეთის ღონისძიებების შერჩევისას, ერთ საქმეში იდენტური გარემოებების არსებობისას განსხვავებული მიდგომების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

- *სსსკ-ის თანახმად დაცვის მხარეს არ აქვს უფლება გაასაჩივროს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გადაწყვეტილება ბრალდებულის თანხმობის გარეშე;*

სსსკ-ში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების გასაჩივრებისას ბრალდებულის თანხმობა სავალდებულო არ უნდა იყოს.

- *სსსკ-ის თანახმად აღკვეთის ღონისძიებების გასაჩივრებისთვის ა/ლ თაობაზე საჩივარს თან უნდა ერთვოდეს ახალი მტკიცებულებები;*

სსსკ-ში არ უნდა იყოს პირდაპირი ვალდებულება ა/ლ გასაჩივრებისას ახალი მტკიცებულებების წარდგენის.

- *კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოში არ არის დადგენილი საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები;*

კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოში არ არის დადგენილი საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები, რაც ასევე ხელს უწყობს სასამართლოს, დაუსაბუთებლად დაუშვებლად ცნოს ა/ლ თაობაზე საჩივრები, აღნიშნული საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი სსსკ-ში.